

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №649

2020 წლის 28 ოქტომბერი

ქ. თბილისი

სათესლე კარტოფილის ბაზარზე განთავსების პირობების დამტკიცების თაობაზე

მუხლი 1

სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის 75-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „სავალდებულო სერტიფიცირებისადმი დაქვემდებარებული სასოფლო-სამეურნეო კულტურათა ჯიშების გასავრცელებლად დაშვებისა და მეთესლეობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, დამტკიცდეს თანდართული „სათესლე კარტოფილის ბაზარზე განთავსების პირობები“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს 2024 წლის პირველი ივნისიდან.

პრემიერ - მინისტრი

გიორგი გახარია

სათესლე კარტოფილის ბაზარზე განთავსების პირობები

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. სათესლე კარტოფილის ბაზარზე განთავსების პირობები (შემდგომში – წესი) არეგულირებს სათესლე კარტოფილის (შემდგომში – თესლი) ბაზარზე განთავსებასთან დაკავშირებულ საკითხებს მცენარეთა სიჯანსაღისადმი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად.

2. ამ წესის მიზანია ბაზარზე განთავსებისათვის განკუთვნილი თესლისთვის შესაბამისი პირობების დადგენა.

3. ეს წესი ვრცელდება ბაზარზე განთავსებისთვის განკუთვნილ თესლზე.

4. ეს წესი არ ვრცელდება ექსპორტისთვის განკუთვნილ თესლზე.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

1. ამ წესის მიზნებისთვის გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) ბაზარზე განთავსება – კომერციული მიზნებისათვის, თესლის მიწოდება, გაყიდვის მიზნით განთავსება და გასაყიდად შეთავაზება, ან გადაცემის სხვა ფორმები, გარდა მიწოდების ისეთი ფორმებისა, როგორც არის მაკონტროლებელი ორგანოებისთვის გადაცემა, დამუშავების ან შეფუთვის მომსახურებების მიმწოდებლებისთვის გადაცემა;

ბ) „საბაზისო თესლი“ – თესლი, რომელიც დამზადებულია სელექციონერის/შემნარჩუნებლის პასუხისმგებლობით, განკუთვნილია „სერტიფიცირებული თესლის“ მისაღებად, აკმაყოფილებს „საბაზისო თესლის“ მიმართ ამ წესის დანართი №1-ით „მინიმალური პირობები, რომელიც წარმოების პროცესში უნდა დააკმაყოფილოს სათესლე მცენარეებმა მავნე ორგანიზმებთან მიმართებაში“ და დანართი №2-ით „თესლის პარტიის ხარისხის მინიმალური მოთხოვნები“ დადგენილ მოთხოვნებს;

გ) „სერტიფიცირებული თესლი“ – თესლი, რომელიც:



გ.ა) წარმოებულია პირდაპირ „საბაზისო თესლიდან“ ან „სერტიფიცირებული თესლიდან“, ან „საბაზისო თესლის“ წინა თაობის თესლიდან და აკმაყოფილებს „საბაზისო თესლისათვის“ ამ წესით დადგენილ მოთხოვნებს;

გ.ბ) უმთავრესად განკუთვნილია სასურსათე კარტოფილის და არა თესლის წარმოებისათვის;

გ.გ) აკმაყოფილებს „სერტიფიცირებული თესლისადმი“ ამ წესის დანართი №1-ით და დანართი №2-ით დადგენილ მოთხოვნებს;

გ.დ) გამოკვლევების შედეგად მიჩნეულია, რომ აკმაყოფილებს ამ წესით დადგენილ მინიმალურ მოთხოვნებს;

დ) სადედე მცენარე – იდენტიფიცირებული მცენარე, საიდანაც ხდება გასამრავლებელი მასალის აღება;

ე) მიკროკლონური გამრავლება – სარგავი მასალის სწრაფი გამრავლების პრაქტიკა, დიდი რაოდენობის მცენარეების მისაღებად, მცენარიდან აღებული დიფერენცირებული ვეგეტატიური კვირტების ან მერისტემის *in vitro* კულტურის გამოყენებით;

ვ) S კატეგორია – თესლის ყველაზე მაღალი კატეგორია, რომელიც გამიზნულია შემდეგი თაობის ელიტური სათესლე მასალის მისაღებად;

ზ) SE კატეგორია – თესლის კატეგორია, რომელიც არის უმაღლესი ხარისხის, მდგრადია მავნე ორგანიზმების მიმართ, უზრუნველყოფს ჯიშის სისუფთავის შენარჩუნებას, გამოიყენება სარწყავ მეურნეობებში, სადაც მაღალი მოსავალი და ჯიშის სიწმინდე მნიშვნელოვანია;

თ) E კატეგორია – თესლის სამრეწველო ან ტექნოლოგიური ტიპი, რომელიც იდეალურია სპეციალური გადამამუშავებისთვის;

ი) PBTC კატეგორია – ყველაზე მაღალი ხარისხის წინასაბაზისო კატეგორიის თესლი, რომელიც მიღებულია სტერილურ ლაბორატორიულ პირობებში, *in vitro* (ქსოვილურ) კულტურაში. განიხილება, როგორც „მინი კარტოფილი“ ან „მინიტუბერი“;

კ) PB კატეგორია – წინასაბაზისო კატეგორიის თესლი, რომელიც მიღებულია PBTC კატეგორიის კარტოფილისგან სათბურში ან ველზე მოყვანის გზით. ითვლება ძალიან სუფთა და მაღალი ხარისხის სათესლე მასალად. გამოიყენება საბაზისო კატეგორიების წარმოებისთვის;

ლ) A კატეგორია – თესლის უმაღლესი კატეგორია, რომელსაც ახასიათებს მაღალი აღმოცენების უნარი, მავნე ორგანიზმებით დაზიანების დაბალი დონე, დაბალი მექანიკური დაზიანება და ივითარებს ერთგვაროვანი ზომის ტუბერებს;

მ) B კატეგორია – კარგი ხარისხის თესლი, მაგრამ არა უმაღლესი კატეგორიის, რომელიც ხშირად გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც ბაზარზე A კატეგორიის თესლი ნაკლებად ხელმისაწვდომია ან უფრო ძვირია;

ნ) რეგულირებადი არასაკარანტინო მავნე ორგანიზმი – არასაკარანტინო მავნე ორგანიზმი, რომლის არსებობა დასარგავად განკუთვნილ მცენარეებზე ახდენს ეკონომიკურად მიუღებელ ზემოქმედებას.

2. ამ წესის მიზნებისთვის ასევე გამოიყენება სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსით, „სავალდებულო სერტიფიცირებისადმი დაქვემდებარებული სასოფლო-სამეურნეო კულტურათა ჯიშების გასავრცელებლად დაშვებისა და მეთესლეობის შესახებ“ საქართველოს კანონითა და ფიტოსანიტარიული ზომების საერთაშორისო სტანდარტით (ISPM-5) განსაზღვრული ტერმინები, თუ ამ წესით სხვაგვარად არ არის დადგენილი.

საქართველოს მთავრობის 2026 წლის 21 იანვრის დადგენილება №13 - ვებგვერდი, 23.01.2026წ.



მუხლი 3. პირობები, რომელთაც უნდა აკმაყოფილებდეს ბაზარზე განთავსებისთვის განკუთვნილი თესლი

1. თესლი შეიძლება განთავსდეს ბაზარზე, თუ ის არის სერტიფიცირებული როგორც „საბაზისო თესლი“, ან „სერტიფიცირებული თესლი“ და წარმოების პროცესში აკმაყოფილებს ამ წესის დანართი №1-ით და დანართი №2-ით დადგენილ მოთხოვნებს.
2. ბაზარზე განთავსებისთვის განკუთვნილი თესლი, მავნე ორგანიზმებთან ან/და მათ ვექტორებთან მიმართებაში, ადამიანის ჯანმრთელობისათვის, ცხოველთა კეთილდღეობის და მცენარის სიჯანსაღისათვის ზიანის მიყენების გარეშე, წარმოების პროცესში უნდა აკმაყოფილებდეს ამ წესის დანართი №1-ით, დანართი №2-ით და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.
3. თუ ბაზარზე განთავსებული თესლი არ აკმაყოფილებს ამ წესის დანართი №2-ით დადგენილ მოთხოვნებს, ის უნდა იქნეს დახარისხებული. დახარისხებული ტუბერები, რომლებიც არ იქნა დაწუნებული, ექვემდებარებიან ხელმეორედ შემოწმებას.
4. ბაზარზე არ შეიძლება განთავსდეს ისეთი თესლი, რომელიც დამუშავებულია ღვივის/ყლორტის ზრდის ინჰიბიტორების გამოყენებით.
5. ბაზარზე დასაშვებია განთავსდეს „საბაზისო თესლის“ წინა თაობების თესლიდან მიღებული თესლი.
6. ბაზარზე განთავსებული თესლის მინიმალური ზომა უნდა იყოს ისეთი, რომ არ გადიოდეს 25X25 მმ-ზე ზომის კვადრატულ ჭრილში. იმ შემთხვევაში, როდესაც ტუბერები ძალიან დიდია და არ გადიან 35X35 მმ სიდიდის ჭრილში, განსხვავება მაქსიმალურ და მინიმალურ ზღვრებს შორის უნდა გამოისახებოდეს 5-ის ჯერადი რიცხვით. პარტიაში ტუბერის ზომებში მაქსიმალური ცვალებადობა უნდა იყოს ისეთი, რომ განსხვავება გამოყენებულ კვადრატულ ჭრილებს შორის არ აღემატებოდეს 25 მმ-ს.
7. პარტია არ შეიძლება შეიცავდეს ტუბერების მასის მიხედვით მითითებულ მინიმალურ ზომაზე ნაკლები ზომის, 3%-ზე მეტი ზომის ტუბერებს ან მითითებულ მაქსიმალურ ზომაზე 3%-ზე მეტი ზომის ტუბერებს.

მუხლი 3¹. საბაზისო თესლის ბაზარზე განთავსების პირობები

1. საბაზისო თესლი შეიძლება განთავსდეს ბაზარზე, როგორც „S კატეგორია“, თუ ინსპექტირების შედეგად დადგინდება, რომ:
 - ა) თესლი აკმაყოფილებს ამ წესის დანართ №3-ის „S კატეგორიის“, „SE კატეგორიისა“ და „E კატეგორიის“ საბაზისო თესლისა და თესლის პარტიებისათვის დადგენილი მოთხოვნების“ პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით დადგენილ მოთხოვნებს;
 - ბ) თესლის პარტიები აკმაყოფილებს ამ წესის დანართ №3-ის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით დადგენილ მოთხოვნებს.
2. საბაზისო თესლი შეიძლება განთავსდეს ბაზარზე, როგორც „SE კატეგორია“, თუ ინსპექტირების შედეგად დადგინდება, რომ:
 - ა) თესლი აკმაყოფილებს ამ წესის დანართ №3-ის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით დადგენილ მოთხოვნებს;
 - ბ) თესლის პარტიები აკმაყოფილებს ამ წესის დანართ №3-ის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით დადგენილ მოთხოვნებს.
3. საბაზისო თესლი შეიძლება განთავსდეს ბაზარზე, როგორც „E კატეგორია“, თუ ინსპექტირების შედეგად დადგინდება, რომ:



ა) თესლი აკმაყოფილებს ამ წესის დანართ №3-ის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით დადგენილ მოთხოვნებს;

ბ) თესლის პარტიები აკმაყოფილებს ამ წესის დანართ №3-ის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით დადგენილ მოთხოვნებს.

საქართველოს მთავრობის 2026 წლის 21 იანვრის დადგენილება №13 - ვებგვერდი, 23.01.2026წ.

მუხლი 3². სერტიფიცირებული თესლის ბაზარზე განთავსების პირობები

1. სერტიფიცირებული თესლი შეიძლება განთავსდეს ბაზარზე, როგორც „A კატეგორია“, თუ ინსპექტირების შედეგად დადგინდება, რომ:

ა) თესლი აკმაყოფილებს ამ წესის დანართ №4-ის „A კატეგორიის“ და „B კატეგორიის“ სერტიფიცირებული თესლისა და თესლის პარტიებისათვის დადგენილი მოთხოვნების“ პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით დადგენილ მოთხოვნებს;

ბ) თესლის პარტიები აკმაყოფილებს ამ წესის დანართ №4-ის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. სერტიფიცირებული თესლი შეიძლება განთავსდეს ბაზარზე, როგორც „B კატეგორია“, თუ ინსპექტირების შედეგად დადგინდება, რომ:

ა) თესლი აკმაყოფილებს ამ წესის დანართ №4-ის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით დადგენილ მოთხოვნებს;

ბ) თესლის პარტიები აკმაყოფილებს ამ წესის დანართ №4-ის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით დადგენილ მოთხოვნებს.

საქართველოს მთავრობის 2026 წლის 21 იანვრის დადგენილება №13 - ვებგვერდი, 23.01.2026წ.

მუხლი 4. სერტიფიცირებისთვის განკუთვნილი თესლი

1. სერტიფიცირებისთვის განკუთვნილი თესლის ნიმუშები აღებული უნდა იქნეს ნიმუშის აღების შესაბამისი მეთოდების გამოყენებით.

2. სხვადასხვა ნაკვეთზე მოყვანილი თესლი, ფიტოსანიტარიული მოთხოვნებიდან გამომდინარე, უნდა განთავსდეს ერთმანეთისგან მოშორებით. შესაძლებელია განხორციელდეს:

ა) თესლის და სხვა კარტოფილის განცალკევება;

ბ) თესლის და სხვა კარტოფილის დახარისხება, შენახვა, ტრანსპორტირება და დამუშავება ერთმანეთისაგან განცალკევებით.

მუხლი 5. „საბაზისო თესლის წინა თაობიდან“ გამოყვანილი თესლის ბაზარზე განთავსების პირობები

ამ წესის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნათა შესაბამისად, „საბაზისო თესლის წინა თაობიდან“ გამოყვანილი თესლი განთავსდება ბაზარზე, თუ ის:

ა) წარმოებულია ჯიშისა და სიჯანსაღის შენარჩუნებისადმი მიღებული პრაქტიკის შესაბამისად;



ბ) უმთავრესად განკუთვნილია „საბაზისო თესლის“ საწარმოებლად;

გ) შეფუთულია, კონტეინერში განთავსებულია და/ან ეტიკეტირებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 5¹. წინასაბაზისო თესლის ბაზარზე განთავსების პირობები

1. ბაზარზე განთავსებისთვის განკუთვნილი წინასაბაზისო თესლი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:

ა) მიღებული უნდა იქნეს სადედე მცენარისგან, რომელიც თავისუფალია შემდეგი მავნე ორგანიზმებისგან: *Pectobacterium* spp., *Dickeya* spp., *Candidatus Liberibacter solanacearum*, *Candidatus Phytoplasma solani*, კარტოფილის ტუბერების რგოლური ვიროიდი, კარტოფილის ტუბერების თითისტარისებურობის ვიროიდი, კარტოფილის A ვირუსი, კარტოფილის M ვირუსი, კარტოფილის S ვირუსი, კარტოფილის X ვირუსი და კარტოფილის Y ვირუსი;

ბ) მზარდი მცენარეებისთვის არატიპურ მცენარეთა და სხვა ჯიშის მცენარეთა რაოდენობა, ერთად არ უნდა აღემატებოდეს 0.01%-ს;

გ) თაობათა მაქსიმალური რაოდენობა უნდა იყოს ოთხი;

დ) რეგულირებადი არასაკარანტინო მავნე ორგანიზმები ან რეგულირებადი არასაკარანტინო მავნე ორგანიზმებით გამოწვეული სიმპტომები, წინასაბაზისო თესლში არ უნდა აღემატებოდეს ზღვრულ მნიშვნელობას, როგორც ეს მოცემულია დანართ №5-ის „წინასაბაზისო თესლის პარტიებისათვის დადგენილი მინიმალური პირობების“ ცხრილ №1-სა და ცხრილ №2-ში.

2. წინასაბაზისო თესლის პარტიები ბაზარზე განთავსებისას უნდა აკმაყოფილებდეს ამ წესის დანართ №5-ში დადგენილ პირობებს.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ და „დ“ ქვეპუნქტების მოთხოვნებთან შესაბამისობა უნდა დადგინდეს საველე ინსპექტირების მეშვეობით. ეჭვის შემთხვევაში აღნიშნულ ინსპექტირებას უნდა დაერთოს ფოთლის ანალიზის შედეგები.

4. როდესაც გამოიყენება მიკროკლონური გამრავლების მეთოდები, ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტთან შესაბამისობა უნდა დადგინდეს ან სადედე მცენარის ანალიზით, ან მასზე სერტიფიცირების ორგანოს ზედამხედველობით განხორციელებული ანალიზით.

5. როდესაც გამოიყენება კლონური გამორჩევის მეთოდები, ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტთან შესაბამისობა უნდა დადგინდეს ან კლონური მასალის ანალიზით, ან მასზე სერტიფიცირების ორგანოს ზედამხედველობით განხორციელებული ანალიზით.

საქართველოს მთავრობის 2026 წლის 21 იანვრის დადგენილება №13 - ვებგვერდი, 23.01.2026წ.

მუხლი 5². წინასაბაზისო თესლის პარტიების ბაზარზე განთავსების პირობები

წინასაბაზისო თესლის პარტიები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მინიმალურ პირობებს:

ა) ნიადაგისა და უცხო ნივთიერებების არსებობა არ უნდა აღემატებოდეს მასის 1.0%-ს;

ბ) თესლის რაოდენობა, რომელიც დაზიანებულია სიდამპლით, გარდა რგოლური სიდამპლით ან ყავისფერი სიდამპლით დაზიანებულისა, არ უნდა აღემატებოდეს მასის 0.2%-ს;



გ) თესლის რაოდენობა, რომელსაც აქვს გარეგანი დეფექტი, მათ შორის, უფორმო ან დაზიანებული ტუბერები, არ უნდა აღემატებოდეს მასის 3.0%-ს;

დ) თესლის რაოდენობა, რომლის ზედაპირის ერთ მესამედზე მეტი დაზიანებულია ჩვეულებრივი ქეცით, არ უნდა აღემატებოდეს მასის 5.0%-ს;

ე) ზედმეტი დეჰიდრატაციის ან ვერცხლისფერი ქეცით გამოწვეული დეჰიდრატაციის გამო დამჭკნარი ტუბერების რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს მასის 0.5%-ს;

ვ) წინასაბაზისო თესლის პარტიებში რეგულირებადი არასაკარანტინო მავნე ორგანიზმები ან რეგულირებადი არასაკარანტინო მავნე ორგანიზმებით გამოწვეული სიმპტომები, არ უნდა აღემატებოდეს გარკვეულ ზღვრულ მნიშვნელობას, როგორც ეს მოცემულია დანართ №5-ის ცხრილ №3-ში;

ზ) თესლის საერთო რაოდენობა, როგორც ეს მითითებულია ამ მუხლის „ბ“ – „ვ“ ქვეპუნქტებში, არ უნდა აღემატებოდეს მასის 6.0%-ს;

თ) წინასაბაზისო თესლი და თესლის პარტიები ბაზარზე შეიძლება განთავსდეს, როგორც „PBTC კატეგორია“ და „PB კატეგორია“ და უნდა აკმაყოფილებდეს ამ წესის დანართ №6-ით „PBTC კატეგორიისა“ და „PB კატეგორიის“ წინასაბაზისო თესლისა და თესლის პარტიების ბაზარზე განთავსების პირობების“ დადგენილ პირობებს.

საქართველოს მთავრობის 2026 წლის 21 იანვრის დადგენილება №13 - ვებგვერდი, 23.01.2026წ.

მუხლი 6. სახელმწიფო კონტროლი

სერტიფიცირებისთვის განკუთვნილი თესლის, ბაზარზე განთავსებისთვის განკუთვნილი თესლის და ბაზარზე განთავსებული თესლის მავნე ორგანიზმების ქვეყანაში შემოჭრისა და გავრცელების სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სურსათის ეროვნული სააგენტო, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

დანართი №1

მინიმალური პირობები, რომელიც წარმოების პროცესში უნდა დააკმაყოფილოს სათესლე მცენარეებმა მავნე ორგანიზმებთან მიმართებაში

1. „საბაზისო თესლის“ შემთხვევაში ჯიშისთვის შეუსაბამო ვეგეტაციაში მყოფი მცენარეთა რაოდენობა და სხვა ჯიშის მცენარეთა ერთად აღებული რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 0,1%-ს, ხოლო პირდაპირ შთამომავლობაში ერთად აღებული რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 0,25%-ს.

2. „სერტიფიცირებული თესლის“ შემთხვევაში, ჯიშისთვის შეუსაბამო მცენარეთა რაოდენობა და სხვა ჯიშის მცენარეთა ერთად აღებული რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 0,5%-ს, ხოლო პირდაპირ შთამომავლობაში ერთად აღებული რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 0,5%-ს.

3. „საბაზისო თესლი“ და „სერტიფიცირებული თესლი“ რეგულირებადი არასაკარანტინო მავნე ორგანიზმებით ან რეგულირებადი არასაკარანტინო მავნე ორგანიზმებით გამოწვეული დაავადებების სიმპტომების არსებობისას უნდა აკმაყოფილებდეს ცხრილ №1-ში და ცხრილ №2-ში მითითებულ მოთხოვნებს:



რეგულირებადი არასაკარანტინო მავნე ორგანიზმები ან რეგულირებადი არასაკარანტინო მავნე ორგანიზმებით გამოწვეული სიმპტომები	ვეგეტაციაში მყოფი „საბაზისო თესლის“ მოყვანის დასაშვები ზღვარი	ვეგეტაციაში მყოფი „სერტიფიცირებული თესლის“ მოყვანის დასაშვები ზღვარი
შვეფხა (<i>Dickeya Samson et al. spp. [1DICKG]</i> ; <i>Pectobacterium Waldee emend. Hauben et al. spp. [1PECBG]</i>)	1,0%	4,0%
<i>Candidatus Liberibacter solanacearum</i> Liefing et al. [LIBEPS]	0%	0%
<i>Candidatus Phytoplasma solani</i> Quaglino et al. [PHYPSO]	0%	0%
ვირუსებით გამოწვეული მოზაიკის სიმპტომები და კარტოფილის ფოთლის დახვევის ვირუსით [PLRV00] გამოწვეული სიმპტომები	0,8%	6,0%
კარტოფილის ტუბერების თითისტარისებურობის ვიროიდი [PSTVD0]	0%	0%

საქართველოს მთავრობის 2026 წლის 21 იანვრის დადგენილება №13 - ვებგვერდი, 23.01.2026წ.

რეგულირებადი არასაკარანტინო მავნე ორგანიზმები ან რეგულირებადი არასაკარანტინო მავნე ორგანიზმებით გამოწვეული სიმპტომები	„საბაზისო თესლის“ პირდაპირი შთამომავლობის დასაშვები ზღვარი	„სერტიფიცირებული თესლის“ პირდაპირი შთამომავლობის დასაშვები ზღვარი
ვირუსული ინფექციის სიმპტომები	4,0%	10,0%

4. „საბაზისო თესლის“ თაობათა მაქსიმალური რაოდენობა უნდა იყოს ოთხი და ნაკვეთში „წინასაბაზისო თესლის“ და „საბაზისო თესლის“ კომბინირებული თაობების რაოდენობა უნდა იყოს შვიდი.

5. „სერტიფიცირებული თესლის“ თაობათა მაქსიმალური რაოდენობა უნდა იყოს ორი.

6. თუ არ არის მითითებული თაობა ეტიკეტზე, სათესლე კარტოფილი უნდა ჩაითვალოს, რომ მიეკუთვნება მაქსიმალურ რაოდენობას, რომელიც ნებადართულია შესაბამის კატეგორიაში.



თესლის პარტიის ხარისხის მინიმალური მოთხოვნები

თესლის უსუფთაობის, დაზიანების და რეგულირებადი არასაკარანტინო მავნე ორგანიზმების ან რეგულირებადი არასაკარანტინო მავნე ორგანიზმების სიმპტომების დასაშვებია შემდეგი თანაფარდობა:

1. ნიადაგის და უცხო ნივთიერებების არსებობა: 1,0% მასის მიხედვით „საბაზისო თესლისთვის“ და 2,0% მასის მიხედვით „სერტიფიცირებული თესლისთვის“.
2. მშრალი და სველი ანუ ბაქტერიული სიდამპლის ერთად არსებობა, გარდა იმ შემთხვევისა, თუ 0,5% მასის მიხედვით გამოწვეულია: *Synchytrium endobioticum*-ით, *Clavibacter michiganensis* subsp. *Sepedonicus* ან *Ralstonia solanacearum*-ით, რომლის 0.2% მასის მიხედვით არის სველი სიდამპლე.
3. გარეგანი დეფექტები, მაგ.: დეფორმირებული ან დაზიანებული ტუბერები: 3,0% მასის მიხედვით.
4. ქეცის გავრცელება, რომელიც აზიანებს ტუბერების ზედაპირის ერთ მესამედზე მეტს: 5,0%- მასის მიხედვით.
5. ზედმეტი დეჰიდრატაციით ან ვერცხლისფერი ქეცით გამოწვეული დეჰიდრატაციით დამჭკნარი ტუბერები, 1,0% მასის მიხედვით.
6. თესლის პარტიაში რეგულირებადი არასაკარანტინო მავნე ორგანიზმებით ან რეგულირებადი არასაკარანტინო მავნე ორგანიზმებით გამოწვეული სიმპტომები უნდა შეესაბამებოდეს ცხრილ №3-ში მოცემულ მონაცემებს:

ცხრილი №3

რეგულირებადი არასაკარანტინო მავნე ორგანიზმები ან რეგულირებადი არასაკარანტინო მავნე ორგანიზმებით გამოწვეული სიმპტომები	„საბაზისო თესლზე“ რეგულირებადი არასაკარანტინო მავნე ორგანიზმების არსებობის დასაშვები ზღვარი	„სერტიფიცირებულ თესლზე“ რეგულირებადი არასაკარანტინო მავნე ორგანიზმების არსებობის დასაშვები ზღვარი
<i>Candidatus Liberibacter solanacearum</i> Liefting et al.	0%	0%
<i>Ditylenchus destructor</i> Thorne [DITYDE]	0%	0%
ტუბერების ზედაპირის 10%-ზე მეტი დაზიანებულია შავი ქეცით, რაც გამოწვეულია <i>Thanatephorus cucumeris</i> (A.B. Frank) Donk [RHIZSO] -ით	5,0%	5,0%
ტუბერების ზედაპირის 10 %-ზე მეტი დაზიანებულია ფხვიერი ქეცით, რაც გამოწვეულია <i>Spongospora subterranea</i> (Wallr.) Lagerh. [SPONSU]-ით	3,0%	3,0%

7. საერთო დასაშვები ოდენობა ამ დანართის მე-2-მე-6 პუნქტების შემთხვევაში „საბაზისო თესლისთვის“ შეადგენს 6,0%-ს მასის მიხედვით და „სერტიფიცირებული თესლისთვის“ 8,0%-ს მასის მიხედვით.



„S კატეგორიის“, „SE კატეგორიის“ და „E კატეგორიის“ საბაზისო თესლის და თესლის პარტიებისათვის დადგენილი მოთხოვნები

1. „S კატეგორიის“ საბაზისო თესლი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

ა) მოთხოვნები თესლის მიმართ:

ა.ა) იმ მცენარეების რაოდენობა, რომლებიც არ პასუხობენ ჯიშობრივ მახასიათებლებს ან ეკუთვნიან სხვა ჯიშს, ერთად არ უნდა აღემატებოდეს 0,1%-ს;

ა.ბ) კარტოფილის შავფეხათი დაავადებული მზარდი მცენარეების რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 0,1%-ს;

ა.გ) პირდაპირი შთამომავლობის შემთხვევაში ვირუსული ინფექციის სიმპტომების მქონე მცენარეთა რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 1,0%-ს;

ა.დ) მოზაიკის სიმპტომების მქონე მცენარეთა რაოდენობა და ფოთლის დახვევის ვირუსის სიმპტომების მქონე მცენარეთა რაოდენობა, ერთად აღებული არ უნდა აღემატებოდეს 0,2%-ს;

ა.ე) თაობათა რაოდენობა, მათ შორის, საველე პირობებში არსებული წინასაბაზისო და საბაზისო თაობა, უნდა შემცირდეს ხუთამდე;

ა.ვ) თუ თაობა არ არის მითითებული ეტიკეტზე, კარტოფილი უნდა ჩაითვალოს მეხუთე თაობად;

ბ) თესლის პარტიაზე მოქმედი მინარევების, ვიზუალური დეფექტებისა და დაავადებების ტოლერანტობის ნორმები უნდა შეესაბამებოდეს შემდეგ მოთხოვნებს:

ბ.ა) სიდამპლევით დაზიანებული თესლი, გარდა რგოლური სიდამპლის ან მურა სიდამპლისა, არ უნდა აღემატებოდეს მასის 0,5%-ს, ამასთან, სველი სიდამპლით დაზიანებული თესლის რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს მასის 0,2%-ს;

ბ.ბ) თესლის რაოდენობა, რომლის ზედაპირის 10%-ზე მეტი დაფარულია შავი ქეცით არ უნდა აღემატებოდეს მასის 5,0%-ს;

ბ.გ) თესლის რაოდენობა, რომლის ზედაპირის ერთ მესამედზე მეტი დაფარულია ჩვეულებრივი ქეცით, არ უნდა აღემატებოდეს მასის 5,0%-ს;

ბ.დ) იმ თესლის რაოდენობა, რომლის ზედაპირის 10%-ზე მეტი დაფარულია ფხვიერი ქეცით, არ უნდა აღემატებოდეს მასის 3,0%-ს;

ბ.ე) ზედმეტი დეჰიდრატაციით ან ვერცხლისფერი ქეცით გამოწვეული დეჰიდრატაციის გამო დამჭკნარი ტუბერების რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს მასის 1,0%-ს;

ბ.ვ) გარეგანი დეფექტების, მათ შორის, დეფორმირებული და დაზიანებული ტუბერების მქონე თესლი არ უნდა აღემატებოდეს მასის 3,0%-ს;



ბ.ზ) ნიადაგისა და უცხო ნივთიერებების არსებობა არ უნდა აღემატებოდეს მასის 1,0%-ს;

ბ.თ) ამ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის „ბ.ა“ – „ბ.დ“ ქვეპუნქტებში ჩამოთვლილი მავნე ორგანიზმებით დაზიანებული თესლის მთლიანი პროცენტული შემცველობა არ უნდა აღემატებოდეს მასის 6,0%-ს.

2. „SE კატეგორიის“ საბაზისო თესლი და თესლის პარტიები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

ა) მოთხოვნები თესლის მიმართ:

ა.ა) იმ მცენარეების რაოდენობა, რომლებიც არ პასუხობენ ჯიშობრივ მახასიათებლებს ან ეკუთვნიან სხვა ჯიშს, ერთად არ უნდა აღემატებოდეს 0.1%-ს;

ა.ბ) კარტოფილის შავფეხათი დაავადებული მზარდი მცენარეების რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 0,5%-ს;

ა.გ) პირდაპირი შთამომავლობის შემთხვევაში ვირუსული ინფექციის სიმპტომების მქონე მცენარეთა რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 2,0%-ს;

ა.დ) მოზაიკის სიმპტომების ან ფოთლის დახვევის ვირუსის სიმპტომების მქონე მზარდი მცენარეების რაოდენობა, ერთად აღებული არ უნდა აღემატებოდეს 0,5%-ს;

ა.ე) თაობების რაოდენობა, მათ შორის, მინდორში – წინასაბაზისოს ჩათვლით, და საბაზისო თაობები, უნდა შემცირდეს ექვსამდე;

ა.ვ) თუ თაობა არ არის მითითებული ეტიკეტზე, კარტოფილი უნდა ჩაითვალოს მეექვსე თაობად;

ბ) თესლის პარტიაზე მოქმედი, მინარევების, ვიზუალური დეფექტებისა და დაავადებების ტოლერანტობის ნორმები უნდა შეესაბამებოდეს შემდეგ მოთხოვნებს:

ბ.ა) სიდამპლით დაზიანებული თესლის რაოდენობა, გარდა რგოლური სიდამპლისა ან მურა სიდამპლისა, არ უნდა აღემატებოდეს მასის 0.5%-ს, ამასთან, სველი სიდამპლით დაზიანებული თესლის რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს მასის 0.2%-ს;

ბ.ბ) იმ თესლის რაოდენობა, რომლის ზედაპირის 10%-ზე მეტი დაფარულია შავი ქეცით არ უნდა აღემატებოდეს მასის 5,0%-ს;

ბ.გ) იმ თესლის რაოდენობა, რომლის ზედაპირის ერთ მესამედზე მეტი დაფარულია ჩვეულებრივი ქეცით, არ უნდა აღემატებოდეს მასის 5,0%-ს;

ბ.დ) იმ თესლის რაოდენობა, რომლის ზედაპირის 10%-ზე მეტი დაფარულია ფხვიერი ქეცით, არ უნდა აღემატებოდეს მასის 3,0%-ს;

ბ.ე) ზედმეტი დეჰიდრატაციით ან ვერცხლისფერი ქეცით დამჭკნარი ტუბერების რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს მასის 1,0%-ს;

ბ.ვ) გარეგანი დეფექტების, მათ შორის, დეფორმირებული და დაზიანებული ტუბერების მქონე თესლის რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს მასის 3,0%-ს;

ბ.ზ) ნიადაგისა და უცხო ნივთიერებების არსებობა არ უნდა აღემატებოდეს მასის 1,0%-ს;

ბ.თ)ამ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის „ბ.ა“ – „ბ.დ“ ქვეპუნქტებში ჩამოთვლილი მავნე ორგანიზმებით დაზიანებული თესლის საერთო პროცენტული შემცველობა არ უნდა აღემატებოდეს მასის 6,0%-ს.

3. „E კატეგორიის“ საბაზისო თესლის და თესლის პარტიები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:



ა) მოთხოვნები თესლის მიმართ:

ა.ა) იმ მზარდი მცენარეების რაოდენობა, რომლებიც არ პასუხობენ ჯიშობრივ მახასიათებლებს ან ეკუთვნიან სხვა ჯიშს, ერთად არ უნდა აღემატებოდეს 0.1%-ს;

ა.ბ) კარტოფილის შავფეხათი დაავადებული მზარდი მცენარეების რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 1.0%-ს;

ა.გ) პირდაპირი შთამომავლობის შემთხვევაში, ვირუსული ინფექციის სიმპტომების მქონე მცენარეების რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 4.0%-ს;

ა.დ) მოზაიკის სიმპტომების ან ფოთლის დახვევის ვირუსის სიმპტომების მქონე მზარდი მცენარეების რაოდენობა, ერთად აღებული არ უნდა აღემატებოდეს 0,8%-ს;

ა.ე) თაობების რაოდენობა, მინდორში - წინასაზაზისოს ჩათვლით, და საზაზისო თაობები, უნდა შემცირდეს შვიდამდე;

ა.ვ) თუ თაობა არ არის მითითებული ეტიკეტზე, კარტოფილი უნდა ჩაითვალოს მეშვიდე თაობად;

ბ) თესლის პარტიაზე მოქმედი მინარევების, ვიზუალური დეფექტებისა და დაავადებების ტოლერანტობის ნორმები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

ბ.ა) სიდამპლეებით დაზიანებული თესლის კარტოფილის რაოდენობა, გარდა რგოლური სიდამპლისა ან მურა სიდამპლისა, არ უნდა აღემატებოდეს მასის 0.5%-ს, ამასთან, სველი სიდამპლით დაზიანებული თესლის რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს მასის 0.2%-ს;

ბ.ბ) იმ თესლის რაოდენობა, რომლის ზედაპირის 10%-ზე მეტი დაფარულია შავი ქეცით, არ უნდა აღემატებოდეს მასის 5,0%-ს;

ბ.გ) იმ თესლის რაოდენობა, რომლის ზედაპირის ერთ მესამედზე მეტი დაფარულია ჩვეულებრივი ქეცით, არ უნდა აღემატებოდეს მასის 5,0%-ს;

ბ.დ) იმ თესლის რაოდენობა, რომლის ზედაპირის 10%-ზე მეტი დაფარულია ფხვიერი ქეცით, არ უნდა აღემატებოდეს მასის 3.0%-ს;

ბ.ე) ზედმეტი დეჰიდრატაციით ან ვერცხლისფერი ქეცით დამჭკნარი ტუბერების რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს მასის 1,0%-ს;

ბ.ვ) გარეგანი დეფექტების, მათ შორის, დეფორმირებული და დაზიანებული ტუბერების მქონე თესლი არ უნდა აღემატებოდეს მასის 3,0%-ს;

ბ.ზ) ნიადაგისა და უცხო ნივთიერებების არსებობა არ უნდა აღემატებოდეს მასის 1,0%-ს;

ბ.თ) ამ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის „ბ.ა“ – „ბ.დ“ ქვეპუნქტებში ჩამოთვლილი მავნე ორგანიზმებით დაზიანებული თესლის მთლიანი პროცენტული შემცველობა არ უნდა აღემატებოდეს მასის 6,0%-ს.

დანართი №4

საქართველოს მთავრობის 2026 წლის 21 იანვრის დადგენილება №13 - ვებგვერდი, 23.01.2026წ.

„A კატეგორიის“ და „B კატეგორიის“ სერტიფიცირებული თესლის და თესლის პარტიებისათვის დადგენილი მოთხოვნები



1. „A კატეგორიის“ სერტიფიცირებული თესლი და თესლის პარტიები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

ა) მოთხოვნები თესლის მიმართ:

ა.ა) იმ მცენარეების რაოდენობა, რომლებიც არ პასუხობენ ჯიშობრივ მახასიათებლებს ან ეკუთვნიან სხვა ჯიშს, ერთად არ უნდა აღემატებოდეს 0.2%-ს;

ა.ბ) კარტოფილის შავფეხათი დაავადებული მზარდი მცენარეების რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 2,0%-ს;

ა.გ) პირდაპირი შთამომავლობის შემთხვევაში, ვირუსული ინფექციის სიმპტომების მქონე მცენარეების რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 8.0%-ს;

ა.დ) მოზაიკის სიმპტომების ან ფოთლის დახვევის ვირუსის სიმპტომების მქონე მზარდი მცენარეების რაოდენობა, ერთად აღებული, არ უნდა აღემატებოდეს 2.0%-ს;

ბ) თესლის პარტიაზე მოქმედი, მინარევების, ვიზუალური დეფექტებისა და დაავადებების ტოლერანტობის ნორმები უნდა შეესაბამებოდეს შემდეგ მოთხოვნებს:

ბ.ა) სიდამპლევით დაზიანებული თესლის რაოდენობა, გარდა რგოლური სიდამპლისა ან მურა სიდამპლისა, არ უნდა აღემატებოდეს მასის 0.5%-ს, ამასთან, სველი სიდამპლით დაზიანებული თესლის რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს მასის 0.2%-ს;

ბ.ბ) იმ თესლის რაოდენობა, რომლის ზედაპირის 10%-ზე მეტი დაფარულია შავი ქეცით, არ უნდა აღემატებოდეს მასის 5,0%-ს;

ბ.გ) იმ თესლის რაოდენობა, რომლის ზედაპირის ერთ მესამედზე მეტი დაფარულია ჩვეულებრივი ქეცით, არ უნდა აღემატებოდეს მასის 5,0%-ს;

ბ.დ) იმ თესლის რაოდენობა, რომლის ზედაპირის 10%-ზე მეტი დაფარულია ფხვიერი ქეცით, არ უნდა აღემატებოდეს მასის 3.0%-ს;

ბ.ე) ზედმეტი დეჰიდრატაციით ან ვერცხლისფერი ქეცით დამჭკნარი ტუბერების რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს მასის 1,0%-ს;

ბ.ვ) გარეგანი დეფექტების, მათ შორის, დეფორმირებული და დაზიანებული ტუბერების მქონე თესლის რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს მასის 3,0%-ს;

ბ.ზ) ნიადაგისა და უცხო ნივთიერებების არსებობა არ უნდა აღემატებოდეს მასის 2,0%-ს;

ბ.თ)ამ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის „ბ.ა“ – „ბ.დ“ ქვეპუნქტებში ჩამოთვლილი მაკონე ორგანიზმებით დაზიანებული თესლის მთლიანი პროცენტული შემცველობა არ უნდა აღემატებოდეს მასის 8,0%-ს.

2. „B კატეგორიის“ სერტიფიცირებული თესლი და თესლის პარტიები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

ა) მოთხოვნები თესლის მიმართ:

ა.ა) იმ მცენარეების რაოდენობა, რომლებიც არ პასუხობენ ჯიშობრივ მახასიათებლებს ან ეკუთვნიან სხვა ჯიშს, ერთად არ უნდა აღემატებოდეს 0.5%-ს;

ა.ბ) კარტოფილის შავფეხათი დაავადებული მზარდი მცენარეების რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 4,0%-ს;



ა.გ) პირდაპირი შთამომავლობის შემთხვევაში, ვირუსული ინფექციის სიმპტომების მქონე მცენარეების რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 10.0%-ს;

ა.დ) მოზაიკის სიმპტომების ან ფოთლის დახვევის ვირუსის სიმპტომების მქონე მზარდი მცენარეების რაოდენობა, ერთად აღებული, არ უნდა აღემატებოდეს 6.0%-ს;

ბ) თესლის პარტიაზე მოქმედი მინარევების, ვიზუალური დეფექტებისა და დაავადებების ტოლერანტობის ნორმები უნდა შეესაბამებოდეს შემდეგ მოთხოვნებს:

ბ.ა) სიდამპლევით დაზიანებული თესლის რაოდენობა, გარდა რგოლური სიდამპლისა ან მურა სიდამპლისა, არ უნდა აღემატებოდეს მასის 0.5%-ს. ამასთან, სველი სიდამპლით დაზიანებული თესლის რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს მასის 0.2%-ს;

ბ.ბ) იმ თესლის რაოდენობა, რომლის ზედაპირის 10%-ზე მეტი დაფარულია შავი ქეცით, არ უნდა აღემატებოდეს მასის 5,0%-ს;

ბ.გ) იმ თესლის რაოდენობა, რომლის ზედაპირის ერთ მესამედზე მეტი დაფარულია ჩვეულებრივი ქეცით, არ უნდა აღემატებოდეს მასის 5,0%-ს;

ბ.დ) იმ თესლის რაოდენობა, რომლის ზედაპირის 10%-ზე მეტი დაფარულია ფხვიერი ქეცით, არ უნდა აღემატებოდეს მასის 3.0%-ს;

ბ.ე) ზედმეტი დეჰიდრატაციით ან ვერცხლისფერი ქეცით დამქვანარი ტუბერების რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს მასის 1,0%-ს;

ბ.ვ) გარეგანი დეფექტების, მათ შორის, დეფორმირებული და დაზიანებული ტუბერების მქონე თესლის რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს მასის 3,0%-ს;

ბ.ზ) ნიადაგისა და უცხო ნივთიერებების არსებობა არ უნდა აღემატებოდეს მასის 2,0%-ს;

ბ.თ) ამ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის „ბ.ა“ – „ბ.დ“ ქვეპუნქტებში ჩამოთვლილი მავნე ორგანიზმებით დაზიანებული თესლის მთლიანი პროცენტული შემცველობა არ უნდა აღემატებოდეს მასის 8,0%-ს.

ბ.ი) თესლის საერთო რაოდენობა, როგორც ეს მითითებულია 5² მუხლის „ბ“-„ვ“ ქვეპუნქტებში, არ უნდა აღემატებოდეს მასის 6.0%-ს.

დანართი №5

საქართველოს მთავრობის 2026 წლის 21 იანვრის დადგენილება №13 - ვებგვერდი, 23.01.2026წ.

წინასაბაზისო თესლის და თესლის პარტიებისათვის დადგენილი მინიმალური პირობები

ცხრილი №1

რეგულირებადი არასაკარანტინო მავნე ორგანიზმები ან რეგულირებადი არასაკარანტინო მავნე ორგანიზმებით გამოწვეული სიმპტომები	წინასაბაზისო თესლის მზარდ მცენარეებში რეგულირებადი არასაკარანტინო მავნე ორგანიზმების ზღვრული მნიშვნელობა
შავფეხა (<i>Dickeya Samson et al. spp. [1DICKG]; Pectobacterium Waldee emend. Hauben et al. spp. [1PECBG]</i>)	0%
<i>Candidatus Liberibacter solanacearum</i> Liefiting et al. [LIBEPS]	0%
<i>Candidatus Phytoplasma solani</i> Quaglino et al. [PHYPSO]	0%



ვირუსებით გამოწვეული მოზაიკის სიმპტომები და კარტოფილის ფოთლის დახვევის ვირუსით გამოწვეული სიმპტომები [PLRV00]	0,1%
კარტოფილის ტუბერების თითისტარისებურობის ვიროიდი [PSTVD0]	0%

ცხრილი №2

რეგულირებადი არასაკარანტინო მავნე ორგანიზმები ან რეგულირებადი არასაკარანტინო მავნე ორგანიზმებით გამოწვეული სიმპტომები	წინასაბაზისო თესლის პირდაპირ თაობაში რეგულირებადი არასაკარანტინო მავნე ორგანიზმების ზღვრული მნიშვნელობა
ვირუსული ინფექციის სიმპტომები	0,5%.

ცხრილი №3

რეგულირებადი არასაკარანტინო მავნე ორგანიზმები ან რეგულირებადი არასაკარანტინო მავნე ორგანიზმებით გამოწვეული სიმპტომები	წინასაბაზისო თესლის პარტიებში რეგულირებადი არასაკარანტინო მავნე ორგანიზმების ზღვრული მნიშვნელობა
<i>Candidatus Liberibacter solanacearum</i> Liefing <i>et al.</i> [LIBEPS]	0%
<i>Ditylenchus destructor</i> Thorne [DITYDE]	0%
შავი ქეცი, რომელსაც იწვევს <i>Thanatephorus cucumeris</i> (A.B. Frank) Donk [RHIZSO]	1,0%
ფხვიერი ქეცი, რომელსაც იწვევს <i>Spongospora subterranea</i> (Wallr.) Lagerh. [SPONSU]	1,0%.

დანართი №6

საქართველოს მთავრობის 2026 წლის 21 იანვრის დადგენილება №13 - ვებგვერდი, 23.01.2026წ.

„PBTC კატეგორიის“ და „PB კატეგორიის“ წინასაბაზისო თესლის და თესლის პარტიების ბაზარზე განთავსების პირობები

1. „PBTC კატეგორიის“ წინასაბაზისო თესლი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

ა) მცენარეები, რომლებიც არ ჯვარდება საკუთარ ჯიშებთან ან სხვა ჯიშის მცენარეები არ უნდა იყვნენ წარმოდგენილი კულტურაში;

ბ) მცენარეები, მათ შორის ტუბერები, იწარმოება მიკროკლონური გამრავლების მეშვეობით;

გ) მცენარეები, მათ შორის ტუბერები, იწარმოება დაცულ ადგილზე და საკვებ არეში, რომელიც არის მავნე ორგანიზმებისგან თავისუფალი;

დ) ტუბერები არ უნდა გამრავლდეს პირველ თაობის შემდგომ;



ე) მცენარეებზე რეგულირებადი არასაკარანტინო მავნე ორგანიზმები ან რეგულირებადი არასაკარანტინო მავნე ორგანიზმებით გამოწვეული სიმპტომები, არ უნდა აღემატებოდეს ზღვრულ მნიშვნელობას, როგორც ეს მოცემულია ამ დანართის ცხრილ №1-ში და ცხრილ №2-ში.

ცხრილი №1

რეგულირებადი არასაკარანტინო მავნე ორგანიზმები ან რეგულირებადი არასაკარანტინო მავნე ორგანიზმებით გამოწვეული სიმპტომები	PBTC კატეგორიის მქონე წინასაბაზისო თესლის მზარდ მცენარეებში რეგულირებადი არასაკარანტინო მავნე ორგანიზმების ზღვრული მნიშვნელობა
შავფეხა (<i>Dickeya</i> Samson <i>et al.</i> spp. [1DICKG]; <i>Pectobacterium</i> Waldee emend. Hauben <i>et al.</i> spp. [1PECBG])	0%
<i>Candidatus</i> Liberibacter <i>solanacearum</i> Liefiting <i>et al.</i> [LIBEPS]	0%
<i>Candidatus</i> Phytoplasma <i>solani</i> Quaglino <i>et al.</i> [PHYPSO]	0%
ვირუსებით გამოწვეული მოზაიკის სიმპტომები და კარტოფილის ფოთლის დახვევის ვირუსით გამოწვეული სიმპტომები [PLRV00]	0%
კარტოფილის ტუბერების თითისტარისებურობის ვიროიდი [PSTVD0]	0%

ცხრილი №2

რეგულირებადი არასაკარანტინო მავნე ორგანიზმები ან რეგულირებადი არასაკარანტინო მავნე ორგანიზმებით გამოწვეული სიმპტომები	PBTC კატეგორიის მქონე წინასაბაზისო თესლის პირდაპირ თაობაში რეგულირებადი არასაკარანტინო მავნე ორგანიზმების ზღვრული მნიშვნელობა
ვირუსული ინფექციის სიმპტომები	0%.

ვ) თესლის პარტიები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:

ვ.ა) თავისუფალი უნდა იყოს სიდამპლით დაავადებული თესლისგან;

ვ.ბ) თავისუფალი უნდა იყოს ჩვეულებრივი ქეცით დაავადებული თესლისგან;

ვ.გ) თავისუფალი უნდა იყოს დეჰიდრატაციის გამო დამჰკნარი თესლისგან;

ვ.დ) თავისუფალი უნდა იყოს გარეგანი დეფექტის მქონე, მათ შორის, დეფორმირებული ან დაზიანებული თესლისგან;

ვ.ე) წინასაბაზისო თესლის პარტიებისთვის რეგულირებადი არასაკარანტინო მავნე ორგანიზმები ან რეგულირებადი არასაკარანტინო მავნე ორგანიზმებით გამოწვეული სიმპტომები, მასის მიხედვით არ უნდა აღემატებოდეს ზღვრულ მნიშვნელობას, როგორც ეს მოცემულია ამ დანართის ცხრილ №3-ში:



რეგულირებადი არასაკარანტინო მავნე ორგანიზმები ან რეგულირებადი არასაკარანტინო მავნე ორგანიზმებით გამოწვეული სიმპტომები	PBTC კატეგორიის წინასაბაზისო თესლის პარტიებში რეგულირებადი არასაკარანტინო მავნე ორგანიზმების ზღვრული მნიშვნელობა მასის მიხედვით
<i>Candidatus Liberibacter solanacearum</i> Liefiting <i>et al.</i> [LIBEPS]	0%
<i>Ditylenchus destructor</i> Thorne [DITYDE]	0%
შავი ქეცი, რომელსაც იწვევს <i>Thanatephorus cucumeris</i> (A.B. Frank) Donk [RHIZSO]	0%
ფხვიერი ქეცი, რომელსაც იწვევს <i>Spongospora subterranea</i> (Wallr.) Lagerh. [SPONSU]	0%.

2. „PB კატეგორიის“ წინასაბაზისო თესლი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

ა) მცენარეების რაოდენობა, რომელიც არ ჯვარდება საკუთარ ჯიშებთან და სხვა ჯიშის მცენარეების რაოდენობა, ერთად აღებული, არ უნდა აღმატებოდეს 0.01%-ს;

ბ) მცენარეებზე რეგულირებადი არასაკარანტინო მავნე ორგანიზმები ან რეგულირებადი არასაკარანტინო მავნე ორგანიზმებით გამოწვეული სიმპტომები, უნდა შეესაბამებოდეს იმ ზღვრულ მნიშვნელობებს, როგორც ეს მოცემულია ამ დანართის ცხრილ №4-ში და ცხრილ №5-ში:

ცხრილი №4

რეგულირებადი არასაკარანტინო მავნე ორგანიზმები ან რეგულირებადი არასაკარანტინო მავნე ორგანიზმებით გამოწვეული სიმპტომები	PB კატეგორიის წინასაბაზისო თესლის მზარდ მცენარეებში რეგულირებადი არასაკარანტინო მავნე ორგანიზმების ზღვრული მნიშვნელობები
შავფეხა (<i>Dickeya</i> Samson <i>et al. spp.</i> [1DICKG]; <i>Pectobacterium</i> Waldee emend. Hauben <i>et al. spp.</i> [1PECBG])	0%
<i>Candidatus Liberibacter solanacearum</i> Liefiting <i>et al.</i> [LIBEPS]	0%
<i>Candidatus phytoplasma solani</i> Quaglino <i>et al.</i> [PHYPSO]	0%
ვირუსებით გამოწვეული მოზაიკის სიმპტომები და კარტოფილის ფოთლის დახვევის ვირუსით გამოწვეული სიმპტომები [PLRV00]	0,1%
კარტოფილის ტუბერის თითისტარისებურობის ვიროიდი [PSTVD0]	0%

ცხრილი №5

რეგულირებადი არასაკარანტინო მავნე ორგანიზმები ან რეგულირებადი არასაკარანტინო მავნე ორგანიზმებით გამოწვეული სიმპტომები	PB კატეგორიის წინასაბაზისო თესლის პირდაპირ შთამომავლობაში რეგულირებადი არასაკარანტინო მავნე ორგანიზმების ზღვრული მნიშვნელობა
ვირუსული ინფექციის სიმპტომები	0,5%



გ) თესლის პარტიებთან დაკავშირებული დაშვებები მინარევებთან, დეფექტებთან და დაავადებებთან მიმართებით:

გ.ა) თესლი, რომელიც დაზიანებულია სიდამპლით, გარდა რგოლური სიდამპლით ან ყავისფერი სიდამპლით დაზიანებულისა, არ უნდა აღემატებოდეს მასის 0.2%-ს;

გ.ბ) თესლი, რომლის ზედაპირის ერთ მესამედზე მეტი დაზიანებულია ჩვეულებრივი ქეცით, არ უნდა აღემატებოდეს მასის 5.0%-ს;

გ.გ) ზედმეტი დეჰიდრატაციით ან ვერცხლისფერი ქეცით გამოწვეული დეჰიდრატაციით დამჭკნარი ტუბერები არ უნდა აღემატებოდეს მასის 0.5%-ს;

გ.დ) თესლი, რომელსაც აქვს გარეგანი დეფექტები, მათ შორის, უფორმო ან დაზიანებული ტუბერები, არ უნდა აღემატებოდეს მასის 3.0%-ს;

გ.ე) ნიადაგისა და უცხო ნივთიერებების არსებობა არ უნდა აღემატებოდეს მასის 1.0%-ს;

გ.ვ) წინასაბაზისო თესლის პარტიები უნდა შეესაბამებოდეს რეგულირებადი არასაკარანტინო მავნე ორგანიზმებით ან რეგულირებადი არასაკარანტინო მავნე ორგანიზმებით გამოწვეული სიმპტომების ზღვრულ მნიშვნელობებს, როგორც ეს მოცემულია ამ დანართის ცხრილ №6-ში:

ცხრილი №6

რეგულირებადი არასაკარანტინო მავნე ორგანიზმები ან რეგულირებადი არასაკარანტინო მავნე ორგანიზმებით გამოწვეული სიმპტომები	PB კატეგორიის წინასაბაზისო თესლის პარტიებში რეგულირებადი არასაკარანტინო მავნე ორგანიზმების ზღვრული მნიშვნელობები
<i>Candidatus Liberibacter solanacearum</i> Liefiting <i>et al.</i> [LIBEPS]	0%
<i>Ditylenchus destructor</i> Thorne [DITYDE]	0%
შავი ქეცი, რომელიც აზიანებს ტუბერების ზედაპირის 10%-ზე მეტს და რომელსაც იწვევს <i>Thanatephorus cucumeris</i> (A.B. Frank) Donk [RHIZSO]	1.0%
ფხვიერი ქეცი, რომელიც აზიანებს ტუბერების ზედაპირის 10%-ზე მეტს და რომელსაც იწვევს <i>Spongospora subterranea</i> (Wallr.) Lagerh. [SPONSU]	1.0 %;

გ.ზ) ამ პუნქტის „გ“ ქვეპუნქტში მოცემული დაშვებებით გათვალისწინებული თესლის მთლიანი პროცენტული შემცველობა არ უნდა აღემატებოდეს მასის 6.0%-ს.

